

ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) - 010251

### პროფესიული სტანდარტი

#### I სფეროს აღწერა

ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) არის ვეტერინარიის დარგის პროფესიული კვალიფიკაცია. ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი ეწევა ვეტერინარი ექიმის ასისტირებას ცხოველებისა და ფრინველების დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების პროცესში.

#### II დასაქმების სფერო

ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს ყველა ტიპის ვეტერინარულ კლინიკაში, ჯანმრთელობის დაცვის ყველა სახის კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, ვეტერინარულ აფთიაქებში, ზოოპარკებში, ზოომდაზიებში, ვეტერინარულ ლაბორატორიებში, ვივარიუმებში და სხვა.

#### III დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

#### IV საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია



<p>ცოდნა და გაცნობიერება.</p>	<p>სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება.</p>	<p>იცის: ცხოველებისა და ფრინველების ანატომია და ფიზიოლოგია; მათი სახეობრივი თავისებურებები; დაავადებები (მათ შორის ადამიანისა და ცხოველის საერთო) და პათოლოგიური პროცესები, რომლითაც ცხოველები და ფრინველები ავადდებიან; ცხოველისა და ფრინველის ფიქსაციის მეთოდები და წესები; გამოსაკვლევ გარემოებათა იდენტიფიცირების მეთოდები. ფლობს ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების უნარ-ჩვევებს და ცოდნას. გაცნობიერებული აქვს პირადი და გარემოს უსაფრთხოების, ასევე, სავეტერინარო კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</p>	<p>სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების</p>	<p>შეუძლია: ცხოველისა და ფრინველის დაავადებების შესახებ პატრონისგან ანამნეზური მონაცემების შეგროვება და მისი მიზნობრივი გამოყენება; ცხოველებისა და ფრინველების მომზადება სხვადასხვა სახის</p>

	შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება.	ვეტერინარიული მანიპულაციების ჩასატარებლად; სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებების მიზნობრივი გამოყენება; ცხოველების ფიქსაცია; ჩატარებული ვეტერინარიული მომსახურების რეგისტრაცია; ვეტერინარი ექიმის ასისტირება მკურნალობის კურსის ჩატარებაში, ინექციის განხორციელება ვეტერინარი ექიმის ზედამხედველობის ქვეშ.
დასკვნის უნარი	განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია მიღებულ ინფორმაციას გაუკეთოს ანალიზი და გააკეთოს სწორი დასკვნები, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები. მოამზადოს ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს დიპლომირებულ ვეტერინარ ექიმს.
კომუნიკაციის უნარი	ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შეუძლია შესაბამისი ახსნა განმარტება მისცეს ცხოველის და ფრინველის მეპატრონეს. შეუძლია კომუნიკაცია აწარმოოს, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე. შეუძლია კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ინფორმაციის მოძიებისა და გაზიარების მიზნით.
სწავლის უნარი	წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია დამოუკიდებლად ვეტერინარიული საქმიანობის შესახებ ახალი ინფორმაციისა და ცოდნის მიღება. უნარი შესწევს დაგეგმოს საკუთარი სწავლა და განსაზღვროს შემდგომი სწავლებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად მოქმედება.	იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. უყვარს ცხოველები და ფრინველები. უნარი შესწევს წარმატებით ჩაერთოს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. გაცნობიერებული აქვს დარგის სპეციფიკა და მისი სოციალური მნიშვნელობა.

**ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება.</p>	<p>სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა, პრობლემების გადაჭრის ზოგადი შესაძლებლობების გაცნობიერება.</p>	<p>იცის: სავეტერინარო ნორმატიული აქტების გამოიყენებით ვეტერინარიული საქმიანობის წარმოება; ცხოველის ფიქსაციისა და ტრანსპორტირების წესების განსაზღვრა; ვეტერინარიული მომსახურების საზღაურის გადახდის მეთოდები და დაზღვევის პროცედურები; ერკვევა ცხოველებისა და ფრინველების ფსიქოლოგიაში და წარმატებით შეუძლია გამოიყენოს ამ კუთხით მიღებული ცოდნა შემდგომი პრაქტიკული საქმიანობისათვის.</p> <p>იცის ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</p>	<p>სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენება, წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად სტრატეგიის შემუშავება და მიღებული შედეგების შეფასება შესრულებული სამუშაოს გასაუმჯობესებლად.</p>	<p>შეუძლია: მკურნალობის პროცესში განსაზღვროს ცხოველებისა და ფრინველების ზოგადი მდგომარეობის ცვლილებათა ინდიკატორები; ჩაატაროს ცხოველებისა და ფრინველების მკურნალობის პროცედურები და დაგეგმოს მკურნალობა და პროფილაქტიკური საქმიანობა ლიცენზირებული ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ; მოამზადოს ვეტერინარიული მომსახურებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტები, დანადგარები და მასალები; აწარმოოს პირველადი ვეტერინარიული დახმარება; სწორად შეარჩიოს სამკურნალო საშუალებები, განსაზღვროს ორგანიზმში მათი შეყვანის გზები ცხოველებისა და ფრინველების ორგანიზმის თავისებურებათა გათვალისწინებით და განახორციელოს შესაბამისი პროცედურები.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია: მოახდინოს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და სწორი დასკვნების გაკეთება; სხვადასხვა სახის ვეტერინარიული პროცედურების ჩატარების შემთხვევაში მოახდინოს გატარებულ ღონისძიებათა მონიტორინგი; მიღებული შედეგების მიხედვით წარმოაჩინოს პრობლემები და მის მოსაგვარებლად განსაზღვროს ალტერნატიული გზები.</p>

კომუნიკაციის უნარი	ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია აწარმოოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია და კვალიფიციურად წარმოაჩინოს საკუთარი შეხედულებები და მოსაზრებები. მისდამი დაქვემდებარებულ ჯგუფთან შეუძლია წარმატებული კომუნიკაცია, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე. შეუძლია წარმატებით გამოიყენოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებები.
სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭკრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია დამოუკიდებლად ახალი ცოდნის მიღება და შემდგომი სწავლის განსაზღვრა. უნარი შესწევს წარმატებით გაუზიაროს თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვას. შეუძლია სწავლის სწორად დაგეგმვა, შესასწავლი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.
ღირებულებები	პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულება და ცვალებად სიტუაციებში მათ შესაბამისად მოქმედება.	იცავს და უფრთხილდება ვეტერინარიის ღირსებას. გაცნობიერებული აქვს დარგის სპეციფიკა და მისი სოციალური მნიშვნელობა. პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე მინდომილი საქმის პროფესიულ დონეზე შესრულებას. არაპროფნოზირებლად სიტუაციებშიც მკაცრად იცავს ვეტერინარიული საქმიანობის წესებს და კანონებს.

**ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) მებუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება.	პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, პროფესიული	იცის: კოსმეტიკური ქირურგიის კვლევის მეთოდები ცხოველისა და ფრინველის სახეობრივი თავისებურების გათვალისწინებით; ცხოველების და ფრინველების მკურნალობის მეთოდები და პროცედურები; ცხოველების ქცევის მართვა; გამოკვლევისა და ჩასატარებელი პროცედურებისათვის საჭირო ინსტრუმენტები, დანადგარები, მასალები და
------------------------	---	--

	<p>საქმიანობის შესაძლებლობების (საზღვრების) გაცნობიერება.</p>	<p>მათი გამოყენების ინსტრუქციები; გაწეული ვეტერინარიული მომსახურების საზღაურის გადახდის პროცედურები და დოკუმენტაციის წარმოების წესები; ზოონოზური საფრთხის იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული ზომები; ცხოველებთან ეთიკური ქცევის ნორმები; სავეტერინარო კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები; დიაგნოსტიკური ხელსაწყო-დანადგარებისა და მასალების მომზადების მეთოდები და მათი გამოყენების ინსტრუქციები; დიაგნოსტიკური შემოწმების შედეგად გამოსაკვლევ გარემოებათა იდენტიფიცირების მეთოდები; ცხოველებისა და ფრინველების შემოწმებისათვის მომზადების მეთოდები; გამოსახულებითი დიაგნოსტიკის აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი დანადგარები, მასალები და მათი გამოყენების ინსტრუქციები;</p> <p>იცის ფარმაკოლოგიასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: თერაპევტული ეფექტი, აბსორბცია, გვერდითი მოვლენები, რეაქცია, ურთიერთქმედება და თერაპევტული ინდექსი; კომბინირებული სისტემის გამოყენების წესები; ნარჩენი, ვადაგასული და დაბინძურებული მედიკამენტების გაუვნებლობის მეთოდები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</p>	<p>შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სფექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კუთხით პათოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლია განსაზღვროს: ჰემატოლოგიური, უროლოგიური, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური, მიკრობიოლოგიური პათოჰისტოლოგიური, სეროლოგიური, ჰელმინთოლოგიური გამოკვლევისათვის მასალის აღებისა და ლაბორატორიაში გადაგზავნის წესები და მეთოდები; პაციენტიდან სინჯის აღება, შენახვა-ფიქსაცია, ჩატარებული კვლევების ანალიზი, და ანალიზთან დაკავშირებული მონაცემების დოკუმენტურად ასახვა; გამოსაკვლევ სინჯების გამოუსადეგობის ინდიკატორები ცხოველების დაავადების ან პათოლოგიური პროცესის ეთიოლოგიის განსაზღვრის მიზნით; ცხოველის შემოწმებაში ვეტერინარიული დახმარების პროცედურები.</p> <p>შეუძლია: საჭირო სავეტერინარო პროცედურის ან გამოკვლევისათვის შეარჩიოს გარემო პირობები და მასალები; ცხოველის მდგომარეობის მონიტორინგი მკურნალობის პროცესში; სხვადასხვა სახის პირველადი სავეტერინარო დახმარების აღმოჩენა სისხლდენის, ჭრილობის, სუნთქვის პრობლემების, მოტეხილობის, თვალის დაზიანების, გონების</p>

		<p>დაკარგვის, დამწვრობის, შოკის, გულის გაჩერების და სხვ. დროს; შეუძლია დაადგინოს პირველადი სავეტერინარო დახმარების სასურველი ან არასასურველი ეფექტის ინდიკატორები და ღონისძიებები, რაც უნდა განხორციელდეს ეფექტურობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; აქვს უნარი, განახორციელოს სტაციონარულ პაციენტთა მდგომარეობის მონიტორინგი და იზრუნოს მათზე.</p> <p>შეუძლია: მედიკამენტზე რეაქციის, უკუჩვენებების და ზედმეტი დოზის ინდიკატორების ამოცნობა და სათანადო ზომების მიღება; ვაქცინაციის განხორციელება; მონაწილეობა საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში; ცხოველების მომზადება დიაგნოსტიკური გამოკვლევებისათვის; ვეტერინარი ქირურგისა ასისტირება ქირურგიული ჩარევის და შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში; ევთანაზიის განხორციელება; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მონიტორინგი და დაცვა.</p>
დასკვნის უნარი	გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	<p>უნარი შესწევს, სიმპტომების მიხედვით ამოიცნოს ძირითადი პრობლემა. პრობლემის გადასაჭრელად შეუძლია დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. საჭიროების შემთხვევაში დროულად შეუძლია ვეტერინარი ექიმის გამომახების აუცილებლობის განსაზღვრა.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინ-ფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. უცხოურ ენაზე</p>	<p>დამაჯერებლად შეუძლია ცხოველის პატრონის ინფორმირება პაციენტისათვის დაგეგმილი ვეტერინარიული პროცედურების, მკურნალობის ეფექტურობისა და მოსალოდნელი გართულების შესახებ, ასევე კლიენტისათვის რჩევის მიცემა ცხოველის და ფრინველის მოვლის თაობაზე.</p> <p>შეუძლია ჯგუფის ხელმძღვანელობა, ჩატარებული სამუშაოს შეფასება, ანგარიშის მომზადება და წარდგენა, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე. შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება ვეტერინარიის საკითხებზე ახალი ინფორმაციის მოსაპოვებლად და გადასაცემად.</p>



	პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	
სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია ცოდნის დამოუკიდებლად ამაღლება მისთვის საინტერესო საკითხებზე. აქვს უნარი, შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პერსპექტივები და განსაზღვროს საკუთარი სწავლის მიმართულებები.
ღირებულებები	პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისათვის გაზიარება.	პასუხისმგებლობით ეკიდება პაციენტების ჯანმრთელობის დაცვას. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. გაცნობიერებული აქვს დარგის სპეციფიკა და მისი სოციალური მნიშვნელობა. აფასებს სხვების დამოკიდებულებას ვეტერინარიის სფეროსადმი და უზიარებს მათ საკუთარ პროფესიულ ღირებულებებს.